ქრონიკა. ინფორმაცია:

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სამადლობელი წერილი

მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, როგორც ინტრონიზაციის, ისე დაბადების დღის მოლოცვისთვის.

რა თქმა უნდა, მაცხოვარი იქნება პირუთვნელი მსაჯული იმისა, რა და როგორ გაკეთდა, მაგრამ ერთი კია, ძალისამებრ ჩემისა ყოველთვის მთელი გულით ვემსახურებოდი და ვემსახურები უფალს და სამშობლოს მაძლიერებს თქვენი სულიერი თანადგომა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, ღმერთმა გიწინამძღვროთ ყოველ კეთილ საქმეში.

თქვენთვის მლოცველი ილია II

საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარის, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს წერილი

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს,

ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოს ლეონიდეს

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ!

მოგესალმებით და გილოცავთ ქრისტეშობის დღესასწაულს.

მოგმართავთ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხის გამო:

ჩვენთვის საინფორმაციო საშუალებებიდან ცნობილი გახდა, რომ 2021 წლის 7 იანვარს, ქრისტეს შობის დღესასწაულზე, ცხინვალის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარში წირვა აღავლინა რუსეთის ეკლესიის ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიის მღვდელმსახურმა, მღვდელმა სერგი კოკოევმა (https://sputnik-ossetia.ru.2021.01.07).

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. ცხინვალი არის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის კანონიკური ტერიტორია, რომლის მოქმედი მღვდელმთავარი ბრძანდება **მიტროპილიტი ისაია (ჭანტურია).**

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე როგორც სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები, ყოველთვის აღიარებდა და აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში.

საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, მიუღებელია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნებართვის გარეშე და ჩვენთან შეუთანხმებლად სხვა მართლმადებელი ეკლესიის სასულიერო პირთა მიერ ჩატარდეს ნებისმიერი რელიგიური მსახურება და მსგავსი გადაცდომები აზიანებს ურთიერთობას ჩვენს ეკლესიებს შორის.

ვიმედოვნებთ, გამოიკვლევთ ზემოთ აღნიშნულ საკითხს, მიიღებთ მკაცრ ზომებს იმ სასულიერო პირთა მიმართ, რომელთაც ეს არაკანონიკური ქმედება ჩაიდინეს და მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ღმერთის წყალობას თქვენს მაღალ მსახურებაში.

საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე)

დაჯილდოება

2021 წლის 27 იანვარს, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, მაზანდარის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში **ზუდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე),** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა და დეკანოზის ხარისხში აიყვანა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი თომა კალანდია.**

აქსიოს! ვულოცავთ დეკანოზ თომას, ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

***

2021 წლის 27 იანვარს, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, მაზანდარის წმინდა ნინო სახელობის ტაძარში **ზუდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე),** სულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა და დეკანოზის ხარისხში აიყვანა ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი სერაფიმე ზარქუა.**

აქსიოს! ვულოცავთ დეკანოზ სერაფიმეს,

ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

***

2021 წლის 25 იანვარს დარჩელის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში **ზუდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე)** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა და დეკანოზის ხარისხში აიყვანა ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი კონსტანტინე ხვიჩია.**

აქსიოს! ვულოცავთ დეკანოზ კონსტანტინეს, ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

აღკვეცა

2020 წლის 30 დეკემბერს **ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე)** სქურის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში **ბერად აღკვეცა მორჩილი თენგიზი (კვარაცხელია) და უწოდა საბა.**

ვულოცავთ მამა საბას. დაე, უფალმა ღირსეულად ამსახუროს ქრისტეს ჭეშმარიტ გზაზე.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (25.11.2020)

COVID-19-ის მეორე ტალღის აქტიური გავრცელების გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით მივმართავთ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს, წინამძღვრებს, სასულიერო პირებს: აუცილებელია ტაძარში ყოფნის დროს მრევლმა დაიცვას დისტანცია და ეკეთოს პირბადე, ხოლო ვინც თავს შეუძლოდ გრძნობს ან რისკის ჯგუფს განეკუთვნება, სჯობს თავი შეიკავოს მსახურებებზე დასწრებისგან. ზიარების ან სხვა საჭიროების შემთხვევაში მათ მოძღვარი სახლში მიაკითხავს. არაფრის შეგეშინდეთ, ილოცეთ და უფალს მიენდეთ: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“.

სამძიმარი

სრულიად ბელარუსის საპატიო ეგზარქოსის, მიტროპოლიტ ფილარეტის გარდაცვალების გამო

თქვენო უწმინდესობავ!

მწუხარებით მივიღეთ ამბავი სრულიად ბელარუსის საპატიო ეგზარქოსის, მაღალყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტ ფილარეტის გარდაცვალების შესახებ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და, პირადად ჩემი სახელით, სამძიმარს ვუცხადებთ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო დასსა და სამწყსოს და განსვენებული მღვდელმთავრის სულიერ შვილებს.

მისი გარდაცვალება უდავოდ დიდი დანაკარგია ღვთის ეკლესიისთვის, რომელსაც მან მრავალი წლის განმავლობაში თავდაუზოგავი მსახურება მიუძღვნა.

აღვავლენთ ლოცვებს ახლად შესვენებულ მიტროპოლიტ ფილარეტის სულისათვის.

უფალმა განუსვენოს მას მართალთა სავანეში.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

დიდია გულისტკივილი ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში კოვიდ-ინფექციით გარდაცვლილი თითოეული ადამიანისა და ჩვენი ეკლესიის სასულიერო პირთა გამო



2020 წლის 20 ნოემბერს ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციით (COVID-19) გარდაიცვალა ბორჯომისა და ბაკურიანის **ეპისკოპოსი ლაზარე (სამადბეგიშვილი).**

„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ეპისკოპოს ლაზარეს გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და სამწყსოს.

უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული.

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული **ეპისკოპოსი ლაზარე.**

***

2020 წლის 21 ნოემბერს ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციით (COVID-19) გარდაიცვალა ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მღვდელმსახური, გოდოგნის მთავარანგელოზთა სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი შიო (სინატაშვილი).**

„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მღვდელ-მონაზონ შიოს გარ-

წაული მიულოცა. მისმა უწმინდესობამ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფთ პასკა, კვერცხი, ტკბილეული, ხატები, სანთლები და სხვა საჩუქრები გაუგზავნა.

სააღდგომო საჩუქრები გადაეცათ ქალთა 5, არასრულწლოვანთა 11 და 8, ქუთაისის 2 დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვნებს, ასევე უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს გლდანის 8 დაწესებულებაში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით სამღვდელოებამ საფლავები აკურთხა (03.05.2021)

ქვეყანაში კოვიდპანდემიის გავრცელების შესამცირებლად აღდგომის დღესასწაულზე მოსახლეობის გასვლა საფლავებზე აიკრძალა.

ა.წ. 3 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით სამღვდელოებამ მცხეთა-თბილისში არსებული სასაფლაოები აკურთხა. საფლავები იკურთხა ეპარქიებშიც.

საქართველოს თავდაცვის ძალები 30 წლისაა

საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო თავდაცვის მინისტრი, ბ-ნი ჯუანშერ ბურჭულაძე, მისი მოადგილე, ბ-ნი დავით სუჯაშვილი და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, ბატონი ჯონი ტატუნაშვილი.

მისმა უწმიდესობამ დალოცა სტუმრები, დალოცა ქართული ჯარი, ვეტერანები, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლები და ჩვენს ქვეყანას მშვიდობა და ბედნიერი აღდგომა უსურვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა ნონა გაფრინდაშვილს (03.05.2021)

ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ღვთისაგან გამორჩეულად დაჯილდოებული პიროვნებაა. მსოფლიომ ათწლეულების მანძილზე (გასულ საუკუნეში) ქართველი ქალი პირველად მისი სახით გაიცნო და იქცა იგი გონიერების, ძლიერების, პატიოსნების, სიმშვიდის... სიმბოლოდ.

მის ამ თვისებებს ურთულეს პოლიტიკურ სივრცეში ყოფნამაც ვერაფერი დააკლო და ქალბატონი ნონა ბოლომდე ლეგენდად დარჩა.

გულითადად ვულოცავთ მას დაბადების საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას რათა კვლავაც ღვთისსათნო მრავალი საქმე აღასრულოს.

ღმერთმა დალოცოს ქალბატონი ნონა და მისი ოჯახი.

აღკვეცა

2020 წლის 4 დეკემბერს ქოზიფას ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის მონესენი: მორჩილი **გოჩა ნოზაძე,** სახელად ეწოდა **პეტრე** და მორჩილი **დავით ნოზაძე,** სახელად ეწოდა **პავლე.**

2020 წლის 18 მარტს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ბანას წმ. გრიგოლ ხანძთელის სახ. მონასტრის **ბერდიაკონი ისააკი (ლაზარაშვილი)** და სახელად **ხარლამპი** უწოდა.

***

2021 წლის 20 აპრილს რუისის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახ. მონასტრის მოწესე **მონოზონი ბარბარე (ხურციძე)** მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა და სახელად **ივლიტა** უწოდა.

2021 წლის 22 აპრილს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ქარელის წმ. ნიკოლოზის სახ. დედათა მონასტრის მოწესენი: მორჩილი **თეა თვალაძე,** სახელად ეწოდა **თეკლა** და მორჩილი **ნინო ჭყოიძე,** სახელად ეწოდა **ნეონილა.**

***

2021 წლი 18 აპრილს, დიდი მარხვის მეხუთე კვირას, ღირსი დედა მარიამ მეგვიპტელის ხსენების დღეს, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ იოანეს ლოცვა-კურთხევით, მღვდელ-მონაზონმა გიორგიმ (ნებიერიძე) სოფელ დერჩის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მონაზვნებად აღკვეცა სამონაზვნო მორჩილები: **თამარ ნატროშვილი,** რომელსაც ეწოდა **ეფემია,** და **ნინო კლდიაშვილი,** ეწოდა **ელისაბედი.**

აქსიოს! ვულოცავთ დედებსა და მამებს, დაე, უფალმა ღირსეულად ამსახუროს ისინი ქრისტეს ჭეშმარიტ გზაზე.

ხელდასხმა

2021 წლი 18 აპრილს, დიდი მარხვის მეხუთე კვირას, ღირსი დედა მარიამ მეგვიპტელის ხსენების დღეს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად დაასხა ხელი გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ძველი აღთქმის პედაგოგს **თამაზ ბუხაიძეს** და **ზოსიმე** უწოდა.

***

2021 წლის 3 იანვარს ქოზიფას ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის მოწესე **იპოდიაკონი პეტრე (ნოზაძე).**

4 იანვარს ქოზიფას ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის მოწესე **იპოდიაკონი პავლე (ნოზაძე).**

8 თებერვალს რუისის წმ. დავით აღმაშენებლის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის მონეზე **იპოდიაკონი პროხორე კორძაია.**

28 თებერვალს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახ. საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბანას წმ. გრიგოლ ხანძთელის სახ. მონასტრის მონეზე **ბერ-დიაკონ ხარლამპის (ლაზარაშვილი).**

25 აპრილს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახ. საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის მონეზე **ბერ-დიაკონ პეტრეს (ნოზაძე).**

მღვდელ-მონაზონი პეტრე ქარელის სამღვდელთმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

29 აპრილს რუისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახ. მამათა მონასტრის მონეზე **ბერ-დიაკონ პავლეს (ნოზაძე).**

აქსიოს! ვულოცავთ მამებს! ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ისინი ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ისრაელის პრეზიდენტს

მის აღმატებულებას, ისრაელის პრეზიდენტს, ბატონ რეუბენ რივლინს

თქვენო აღმატებულებავ,

მერონის მთაზე გუშინ მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ საყოველთაო მწუხარება და თანაგრძნობა გამოიწვია.

ჩვენი მხრიდანაც გამოვხატავთ დიდ გულისტკივილს და გთხოვთ, სამძიმარი გადასცეთ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, მთელ ებრაელ ხალხს.

დაშავებულებს კი ვუსურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.

პატივისცემით,

ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
01.05.2021

სამძიმარი

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანი" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 1 აპრილს გარდაიცვალა წმ. ქეთევან წამებულის სახ. დედათა მონასტრის წინამძღვარი, **სქემმონოზონი ქეთევანი (წიქარიძე-კეჩხუაშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს გთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონი ქეთევანი.**

***

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანი" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 13 აპრილს გარდაიცვალა ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახ. მამათა მონასტრის მონეზე, **სქემმონოზონი ბარსანოფი (როსტიაშვილი).**

მკითხველებს გთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონი ბარსანოფი.**

***

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ **მიტროპოლიტ ზოსიმეს დის - მარინე შიოშვილის** გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ მის ყოვლადუსამღვდელოესობას და განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **მარინე.**

***

კინოსა და თეატრის გამორჩეული მსახიობი **კახი კავსაძე** 27 აპრილს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა (5 ივნისი, 1935 — 27 აპრილი, 2021). 1 მაისს, ის რუსთაველის თეატრიდან გაასვენეს და თავისი მეუღლის, ცნობილი მსახიობის, ბელა მირიანაშვილის გვერდით საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი კახი კავსაძის გარდაცვალების გამო (30.04.2021)

წავიდა ჩვენგან ბატონი კახი კავსაძე, - თანამედროვე ქართული ხელოვნების მშვენება, კავსაძეთა ცნობილი გვარის ერთ-ერთი უცნობილესი წარმომადგენელი, სიყვარულისა და ერთგულების მაგალითი, ადამიანურ მრავალ ფასეულობათა მომცველი საოცარი პიროვნება.

რამდენიმე წლის წინ იგი მძიმე სენით დაავადდა, რაც მორწმუნედ ჩამოყალიბების წინაპირობად ექცა, რადგან ღვთის სასწაულის საკუთარ თავზე განმცდელი გახდა და მისი მადლით განკურნებული, უფლის რწმენის მქადაგებლად იქცა.

ღმერთმა დალოცოს და ნათელში ამყოფოს ბატონი კახის უკვდავი სული და სავანესა მართალთასა დააწესოს, ხოლო მის ახლობლებსა და ყველა გულშემატკივარს მოანიჭოს მშვიდობა და სულიერი შეწევნა.

***

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) ახლად შესვენებულ კახის სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა და კავსაძის ოჯახის წევრებსა და შეკრებილ საზოგადოებას კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმრის წერილი გააცნო.

დასასრულს მიტროპოლიტმა შიომ კახი კავსაძის ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა:

თაობაზე: მზაობა ყოველთვის იყო, მაგრამ ითხოვდნენ, რომ სიწმინდის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის სათანადო პირობები შექმნილიყო.

ანჩისხატის დაბრუნების საინიციატივო ჯგუფმა (ხელმძღვანელი: ბატონი ზაზა ნანობაშვილი) ამ მხრივ დიდი სამუშაოები ჩაატარა, რის შედეგადაც გერმანული კომპანიის მიერ მაღალი ტექნოლოგიებით დამზადდა და ანჩისხატის ტაძარში დამონტაჟდა ხატის ჩასაბრძანებელი კიოტი, ჩატარდა სხვა სამუშაოებიც.

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ჩვენი ხალხისათვის ამ უდიდესი სიწმინდის საეკლესიო სივრცეში ყოფნის და მის წინაშე მუდმივი ლოცვის მნიშვნელობა და გადმოსცეთ იგი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანჩისხატის ტაძარში დასაბრძანებლად.

ვიმედოვნებთ, მის დაცვას ერთობლივად უზრუნველვყოფთ, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება იქცეს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წელს აღვნიშნავთ ამ ტაძრის აგებიდან 1500 წლისთავს და თქვენ მიერ გაცემული ნებართვა ხატის ეკლესიაში განთავსებაზე იქნება საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული უდიდესი საჩუქარი.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
#97, 02.08.2021

დაჯილდოება

2021 წლის 17 ოქტომბერს, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე.

ამავე დროს, მამა კონსტანტინე დადგენილია სანქტ-პეტერბურგის შესტაკოვის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ქართული ტაძრის წინამძღვრად.

„ჩვენ დღეს ვაჯილდოებთ დეკანოზ კონსტანტინე გიორგაძეს გამშვენებული ჯვრითა და მიტრით! იგი მიემგზავრება პეტერბურგში ჩვენს ქართულ სამრევლოში სამოღვაწეოდ. ამასთან და ასევე მის მსახურებასთან დაკავშირებით, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია II-ის ბრძანებულებით, იგი ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრითა და მიტრით. გილოცავთ, აქსიოს!" — ბრძანა მიტროპოლიტმა შიომ მამა კონსტანტინეს დაჯილდოებისას.

აქსიოს! ვულოცავთ დეკანოზ კონსტანტინეს, ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

იუბილე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ჟურნალ „ქართველოლოგიის" რედაქტორს **ქ-ნ ნელი მახარაძეს** დაბადებიდან 85 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 60 წელი შეუსრულდა. ქალბატონი ნელი არის ავტორი წიგნებისა, რედაქტორი, რეცენზენტი, იკვლევს, წერს, ხელმძღვანელობს კონფერენციებს, ფილოლოგიურ საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით, და რაც მთავარია, მამულ-დედულზე და საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველია.

„საპატრიარქოს უწყებანი" ულოცავს ქ-ნ ნელის გამორჩეულ საიუბილეო თარიღს და უსურვებს ღვთის შემწეობით კვლავ მხნე მაგალითად ეგულებოდეს მომავალ თაობას.

***

„ჩემო მამაო, მეუღლევ და მეგობარო, სხვაგვარად ვერ გიწოდებ ადამიანს, რომელთან ერთად 35 წელი ტკბილად და ბედნიერად გავიარე, ეს ჰაერში ნათქვამი სიტყვები არაა, არა მარტო ბედნიერად, არამედ სიხარულით. დიახ, შენ ხარ ადამიანი, რომელიც ახარებ და აბედნიერებ შენ გვერდით მყოფთ. აი, უკვე 60 წლის გახდი. წარმოუდგენელია, რა უცბად გაიელვა ამდენმა წელმა, ჩვენ 13 შვილის მშობელი ვართ, 5 მათგანი დაოჯახდა და უკვე მე-15 შვილიშვილს ველოდებით. რამდენი სიხარული და განსაცდელი გამოვიარეთ. ყველაფერი მახსენდება, პირველად სვეტიცხოველში რომ გნახე, დაჩოქილები სეფისკვერის ნამცეცებს ვკრეფდით იატაკიდან. ჩვენი ჯვრისწერა, 13 მშობიარობა. მახსენდება, როგორ მეხმარებო-

დი ბავშვების გაზრდაში, როგორ მაძინებდი ღამე და შენ უთენებდი პატარებს, ყოველთვის მიმსუბუქებდი სიძნელეებს... ჩემი ცხოვრება ორ ეტაპად იყოფა მამა ალექსანდრემდე და მამა ალექსანდრეს შემდეგ (მრევლიც იგივე აზრს აფიქსირებს). როგორ გიხაროდა ყოველი ჩემი ფეხმძიმობა, ერთი ინტერესი გვქონდა „ნეტავი ეს როგორი იქნებაო". არასოდეს დაგიკარგავს იუმორის გრძნობა, ალბათ, ამ თვისების გამო გიმსუბუქდებოდა ოჯახთან და მრევლთან ურთიერთობა.

„მდუღარე რწმენით, ვულკანივით აფეთქებული/ დგას ამბიონზე!/ მივყავართ სადღაც, გამჭირვალე ნატიფი გზებით/ ქერუბიმებთან, მრავალფრთიან სერაბიმებთან./ დაგვიმეგობრა მოციქულები, მახარებლები..."

მიუხედავად ამხელა ჯაფისა ყოველთვის ახერხებდი, რომ წიგნები გეკითხა, მოძღვრის მოვალეობა პირნათლად შეგესრულებინა. ძალიან დიდ დროს უძღვნი ქადაგებების მომზადებას, თითქმის ღამეებს ათენებ ხოლმე, რომ მრევლს მიაწოდო ჭეშმარიტება და დააყენო სწორ გზაზე...

ჩემო მამაო, მეუღლევ და მეგობარო, ამდენი წლის განმავლობაში შენ გვერდით სხვანაირად ლამაზდება მზის ამოსვლაც და ჩასვლაც, შენ ბუნების მოყვარული, სიყვარულით სავსე, თბილისელი მოძღვარი ხარ. იცი როგორი?! - მაცხოვარი რომ მიუთითებს პატარა ბავშვზე: ასეთები შევლენ სასუფეველშიო, ჩემთვის ის სუფთა ყრმა ხარ, რომელიც უფალს ძალიან უყვარს!

გილოცავ 60 წლის იუბილეს, მრავალჟამიერ!

მუდამ შენზე შეყვარებული
ფოფოდია - ნინო ბზვანელი."
02.09.2021 წ.

„საპატრიარქოს უწყებანი" უერთდება ქ-ნი ნინოს შესანიშნავ მილოცვას და დეკანოზ ალექსანდრე ბოლქვაძეს ხანგრძლივ, ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებს ღვთისა და მოყვასის თავდადებულ მსახურებაში.

განცხადება

წმინდა სტეფანე აღმსარებლის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სახლ „კენოზისში" ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00-18:00 სთ. ფუნციონირებს საქველმოქმედო ფსიქოლოგიური კაბინეტი.

მისამართი: დიმიტრი უზნაძის 47, წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძრის ეზო, II სართული.

მსურველთა წინასწარი ჩაწერა შესაძლებელია „ფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის ეროვნული გეშტალტ ცენტრის" ტელეფონზე: **0322920336** (სამუშაო დღეებში).

კათოლიკოს-პატრიარქი სამძიმარი თამაზ კვაჭანტირაძის გარდაცვალების გამო



ბატონი თამაზ კვაჭანტირაძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს!

ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე იყო ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო მასწავლებელი სრულიად საქართველოსი. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მის ტელელექციებს ჩვენი საზოგადოება უდიდესი ინტერესით უსმენდა და ცოდნას იღრმავებდა. საერთო-სახალხო მოწაფეობის ეს პერიოდი დღესაც მრავალთათვის ტკბილად მოსაგონარია.

გამორჩეულია ბატონი თამაზის გაწეული ღვაწლი ჟურნალ „ბალავარის" გამოცემისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალი თაობების აღზრდისთვის.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგმადლოთ მშვიდობა და ლოცვის ძალა მარადიულ გზაზე ბატონი თამაზის შეწევნისათვის.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
17.08.21

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი

(10.10.2021)

დიდია მწუხარება, რომელიც ახლახან ბათუმში მომხდარ ტრაგედიას მოჰყვა.

გულითადად ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, დაზარალებულთ, ვუსამძიმრებთ მთელ საქართველოს. დღეს ყველა ამ ტკივილის თანაზიარია და შეძრულია მომხდარით.

ვლოცულობთ გარდაცვლილთათვის. მათი სულების საოხად არაერთი პანაშვიდი იქნა გადახდილი. კვირას, წირვის შემდეგაც, აღევლინება ლოცვა, მათ შორის, სამების საკათედრო ტაძარში.

შევთხოვ ღმერთს, მოგვცეს გამძლეობა, მოგვანიჭოს თვისი წყალობა და მშვიდობით აკურთხოს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი.

ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ვთქვათ ტროპარი წმინდა გიორგისა: „ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის."

წმინდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი! წმინდა გიორგიმ დაიცვას თქვენი ოჯახები, თქვენი შვილები, სრულიად საქართველო!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება 28.11.2021

საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ კორონავირუსის აცრასთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას, რომელიც სინოდის დადგენილებაშია ასახული. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე მოხდა მისი განმარტება, უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი სასულიერო პირის მხრიდან დაფიქსირებული რადიკალური პოზიციის გამო, კვლავ გავიმეორებთ, რომ **აცრას არა აქვს რელიგიური დატვირთვა.** და ამდენად, დაუშვებელია, სასულიერო პირმა რელიგიური მოტივით მორწმუნეებს აუკრძალოს ამ პროცედურის ჩატარება ან შეუზღუდოს ზიარება იმის გამო, რომ ისინი აიცრნენ. მკურნალობის ამ მეთოდთან მიმართებაში ქრისტიანისათვის, რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია უხეში და შეურაცხმყოფელი მიმართვების გავრცელებაც.

წმინდა სინოდის განჩინება ასევე ეწინააღმდეგება მოძღვრის მიერ მრევლისთვის მსახურებაზე პირბადის ტარების აკრძალვას.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ეკლესია მხარს ვერ დაუჭერს იძულებით ვაქცინირებას, რა მოტივითაც არ უნდა იყოს იგი ნაკარნახევი. ყველას უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ეს ღვთისგან მონიჭებული ხელშეუხებელი უფლებაა და მისი დაცვა აუცილებელია.

კიდევ ერთხელ მივმართავთ სასულიერო პირებს, რომ მათი ქმედებები ვაქცინაციასთან დაკავშირებით არ გასცდეს სინოდის განჩინებას. თვითნებობის შემთხვევაში კი მრევლს შეუძლია მომართოს საქართველოს საპატრიარქოს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეუთოს საგანგებო წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში ანიკა სოდერს შეხვდა

ამა წლის 17 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად ეუთოს საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, ქალბატონი ანიკა სოდერი და დელეგაციის სხვა წევრები მიიღო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებას.

აღინიშნა, რომ პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია მშვიდობიანი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა მისი უწმინდესობის ძალისხმევის მნიშვნელობა ზაზა გახელაძის გათავისუფლებაში.

მისმა უწმინდესობამ მადლობა გადაუხადა ეუთოს საგანგებო წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში, ქალბატონ ანიკა სოდერს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სადამკვირვებლო და ჰუმანიტარულ მისიებს ასრულებენ კონფლიქტის ზონაში, წარმატებული მოღვაწეობა უსურვა მათ და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების იმედი გამოთქვა.

ტაძრის კურთხევა

2021 წლის 27 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) **აკურთხა მახარიის**

წმინდა თამარ მეფის სახელობის მონასტრის წმინდა მენელსაცხებლე დედათა სახელობის ტაძარი.

დაჯილდოება

2021 წლის 13 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა და დეკანოზის ხარისხში

აიყვანა წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი იოანე აკობია.**

აქსიოს! ვულოცავთ დეკანოზ იოანეს, ღმერთმა ღირსეულად ამსახუროს ღვთის სადიდებლად და ერის საკეთილდღეოდ!

არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულებს გიორგობის დღესასწაული მიულოცეს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დეკანოზმა დავით თავაძემ და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებმა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების არასრულწლოვან მსჯავრდებულებს გიორგობის დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

N11 დაწესებულებაში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან შეხვედრისას საუბარი გაიმართა მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, მამა დავითმა მათ უწმინდესისა და უნეტარესის მილოცვა გადასცა. მსჯავრდებულებს სხვადასხვა საჩუქარი და ნუგბარი დაურიგდათ, ასევე დასაჩუქრდნენ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულები და N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ქალი მსჯავრდებულები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი არქიმანდრიტ მიქაელის (მიგინეიშვილი) გარდაცვალების გამო

დიდია ჩვენი გულისტკივილი არქიმანდრიტ მიქაელის გარდაცვალების გამო. იგი იყო საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მოძღვარი და ღვთის საყვარელი შვილი.

ღმერთმა აცხონოს მისი უკვდავი სული და სავანესა მართალთასა განუსვენოს, ხოლო არქიმანდრიტ მიქაელის მრევლსა და ახლობლებს მოანიჭოს მშვიდობა, შინაგანი მხნეობა და ლოცვის ძალა.

ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
26.11.2021

***

60 წლის ასაკში გარდაიცვალა შემოქმედის ეპარქიის მღვდელმსახური, ჯუმათის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მიქაელი (მიგინეიშვილი).

მამა მიქაელი თავისი სასულიერო მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში მსახურობდა, ბოლო 24 წლის განმავლობაში იგი ჯუმათის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო.

არქიმანდრიტ მიქაელი დაკრძალეს 2021 წლის 23 ნოემბერს ჯუმათის მამათა მონასტერში.

მწუხარებას გამოვთქვამთ არქიმანდრიტ მიქაელის გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მონასტრის წევრებსა და სამწყოსს.

უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული.

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული **არქიმანდრიტი მიქაელი.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი დეკანოზ რევაზ ტომარაძის გარდაცვალების გამო

წავიდა ჩვენგან აჩისხატის ტაძრის წინამძღვარი, საეკლესიო კითხვის ძველი წესის საუკეთესო მცოდნე, ძველი თაობის გამორჩეული მოძღვარი, დეკანოზი რევაზ ტომარაძე.

ღმერთმა განუსვენოს მის უკვდავ სულს მართალთა სავანეში, ხოლო მისი ოჯახის წევრებსა და მრევლს მომადლოს ლოცვის ძალა და მშვიდობა.

ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
21.11.2021

***

2021 წლის 19 ნოემბერს, გარდაიცვალა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული და ღვაწლმოსილი მღვდელმსახური, დეკანოზი რევაზ ტომარაძე.

„ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი მსახური, მრევლისთვის თავდადებული, ყველასათვის საყვარელი მოძღვარი“, — ამ თბილი სიტყვებით შეაფასა დეკანოზ რევაზის მრავალწლიანი მოღვაწეობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გასულ წელს, მისი 90 წლის იუბილეზე.

მამა რევაზის სასულიერო მოღვაწეობა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო – 1980 წლის 28 აგვისტოს სიონის ღვთისმშობლის მი-

ჟურნალისტების შეკითხვების პასუხად სინოდური კომისიის დღეს გამოქვეყნებულ დასკვნასთან დაკავშირებით

10.12.2021

სინოდური კომისიის დღეს გამოქვეყნებული დასკვნა მიღებულია რამდენიმე თვის წინ. აქამდე არ გამოქვეყნებულა, რადგან რჩებოდა იმედი, რომ დეკანოზ ილია ჭიღლაძის კომენტარები კორექტულ ფარგლებს დაუბრუნდებოდა. უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა, არც გამოქვეყნებულიყო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მისი გამონათქვამები კიდევ უფრო გამძაფრდა და მეტი შეკითხვა გააჩინა მორწმუნე საზოგადოებაში, თუ რატომ არ ხდებოდა მისი საკითხის განხილვა.

სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, გამოგვექვეყნებინა სინოდური კომისიის გადაწყვეტილება.

საპატრიარქოს განცხადება

11.12.2021

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო. მასზე ასახული იყო ერთაწმინდის ტაძარი, რომელიც სასულიერო პირებმა თითქოს განგებ დააზიანეს, ღუმელი დადგეს და მილი სარკმლიდან გაიყვანეს.

საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ აღნიშნული ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება. ფოტომასალა ძველია. ფოტო გადაღებულია ტაძრის რესტავრაციამდე. აქვე დავძენთ, რომ ერთაწმინდის ტაძარს დაახლოებით ათ წელზე მეტია, სრულფასოვანი რესტავრაცია ჩაუტარდა და მას შემდეგ არავითარი მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

სამწუხაროდ, არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით, საზოგადოებაში მსგავსი ცრუ ბრალდება და ცილისმწამებლური განცხადებები ვრცელდება.





თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ფოტომასალას. პირველ ორზე ასახულია სოციალურ ქსელში გავრცელებული ერთაწმინდის ტაძრის ძველი, რესტავრაციამდე მდგომარეობა, დანარჩენზე კი — ტაძრის ამჟამინდელი რეალური იერსახე.

ტაძრის კურთხევა

2021 წლის 13 დეკემბერს, წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის ხსენების დღეს, მისმა **მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ქუთაისში წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი აკურთხა**.

ხელდასხმა

5 დეკემბერს თიანეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფლის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძარში **თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე)** მღვდლად დაასხა ხელი იმავე ეპარქიის დიაკონ **გიორგი მაჩურიშვილს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა — ბერი **ლოტი (დოლაკიძე)**.

ვულოცავთ „საპატრიარქოს უწყებანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს მამა გიორგის, ასევე მამა ლოტს მინიჭებულ სამღვდელო ხარისხებს, უფალმა გააძლიეროს ერისა და ეკლესიის სამსახურში.

აღკვეცა

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევით, 2021 წლის 6 დეკემბერს მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში **არქიმანდრიტმა მელქისედეკმა (მიქავა) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი ზოია (შუშანია).**

ვულოცავთ დედა ზოიას. დაე, უფალმა ღირსეულად ამსახუროს ქრისტეს ჭეშმარიტ გზაზე.